



# გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მისარები გამოცდების პროგრამა

2017-2018  
სასწავლო წელი

**ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით, საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერისათვის საჭირო სასულიერო და სამეცნიერო კადრების მოსამზადებლად, გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 2017-2018 სასწავლო წლისათვის.**

გელათის აკადემიისა და სემინარიის სტუდენტი შეიძლება გახდეს ეკლესიურად მცხოვრები მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს მისაღებ გამოცდებს.

**საბუთები მიიღება შემდეგ ფაკულტეტებზე და კურსებზე:**

1. გელათის სასულიერო სემინარია - ბაკალავრიატი;
2. ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობა - ბაკალავრიატი;
3. გელათის სასულიერო აკადემია - მაგისტრატურა;
4. გელათის სასულიერო აკადემიასა და სემინარიასთან არსებული მედავითნეობის კურსები.

**გელათის სასულიერო აკადემიაში (ფაკულტეტზე) - მაგისტრატურაში შემსვლელთათვის**

გელათის სასულიერო აკადემიაში (ფაკულტეტზე) - მაგისტრატურაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან უმაღლესი საერო განათლების მქონე და სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული მამაკაცები. აბიტურიენტი უნდა ერკვეოდეს ლიტურგიის საკითხებში და გამართულად კითხულობდეს ხუცურს. სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი.

**შიდა მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:**

1. წმინდა წერილი (ზეპირი) – 2017 წლის 1 სექტემბერი;
2. ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები (კატეხიზმო) (ზეპირი) – 2017 წლის 4 სექტემბერი;
3. საქართველოს ისტორია (ზეპირი) 2017 წლის 6 სექტემბერი;
4. უცხო ენა (გასაუბრება) – 2017 წლის 8 სექტემბერი;
5. ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტირება) – 2017 წლის 11 სექტემბერი;

**გელათის სასულიერო სემინარიასა და ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტებზე- ბაკალავრიატში**

**შემსვლელთათვის**

გელათის სასულიერო სემინარიასა და ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტებზე სწავლის ხანგრძლივობაა 4 წელი.

**შიდა მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:**

1. ქართული ენა და ლიტერატურა (ეროვნული გამოცდების შედეგებით);
2. ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები (კატეხიზმო)(ზეპირი) – 2017 წლის 4 სექტემბერი;
3. საქართველოს ისტორია (ზეპირი) – 2017 წლის 6 სექტემბერი;
4. უცხო ენა (ტესტირება) – 2017 წლის 8 სექტემბერი;

შენიშვნა: გელათის სასულიერო სემინარიაში-ბაკალავრიატში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან მხოლოდ მამაკაცები. სავალდებულოა ხუცურის გამართულად კითხვა.

## გელათის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ფუნქციონირებს ერთწლიანი მედავითნეობის კურსი.

მედავითნეობის კურსზე მიიღებინ საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირები. სავალდებულოა ხუცურის გამართულად კითხვა. ჩარიცხვა მოხდება გასაუბრებით. სწავლის ხანგრძლივობა 1 წელი.

### აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ:

1. თხოვნა რექტორის სახელზე;
2. ავტობიოგრაფია;
3. შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის: ბაკალავრიატისთვის – ატესტატის, ხოლო მაგისტრატურისთვის დიპლომის დედანი და ნოტარიულად დამოწმებული ასლი.
4. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ან სამხედრო ბილეთის დედანი და ნოტარიულად დამოწმებული ასლი.
5. ფოტოსურათი 3/4 (4 ცალი) ელექტრონული ვერსიით (CD);
6. მოძღვრის დახასიათება-რეკომენდაცია (მოძღვრის მსახურების ადგილისა და ტელეფონის მითითებით), დამოწმებული შესაბამისი ეკლესიის ბეჭდით.
7. პირადობის მოწმობის დედანი და ქსეროასლი.

შენიშვნა: აკადემიასა და სემინარიაში შემსვლელთათვის მოძღვრის დახასიათება-რეკომენდაცია დამოწმებული უნდა იყოს მღვდელმთავრის რეზოლუციით;

საბუთები მიიღება 2017 წლის 1 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით, 24 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით. სამუშაო დღეებში - 10 .00 - დან 15. 00 საათამდე, გარდა სადღესასწაულო და დასვენების დღეებისა.

აბიტურიენტებთან გამოცდებამდე საინფორმაციო ხასიათის გასაუბრება შედგება 31 აგვისტოს 12.00 საათზე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მისაღები გამოცდების საბუთების მიმღებ კომისიას.

## **მისაღები გამოცდების პროგრამა და ჩატარების ფორმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში გელათის სასულიერო აკადემიაში - მაგისტრატურაში შემსვლელთათვის**

### **ქართული ენა**

აბიტურიენტმა გამოცდაზე უნდა გამოავლინოს ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნა და მისი პრაქტიკული გამოყენების უნარი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამის ფარგლებში. საგანგებო ყურადღება მიექცევა მეტყველების კულტურის საკითხებს.

ბგერა და ასო. ხმოვნები და თანხმოვნები. მარცვალი. ხმარებიდან გამოსული ასოები. სიტყვა, მისი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა. სინონიმები; ომონიმები; ანტონიმები; დიალექტიზმები, არქაიზმები; ნეოლოგიზმები; ბარბარიზმები.

ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები: არსებითი სახელი, ჯგუფები შინაარსის მიხედვით. საზოგადო და საკუთარ სახელთა ბრუნება. ზედსართვი სახელი, ხარისხის ფორმები ზედსართვ სახელთა ბრუნება დამოუკიდებლად და არსებით სახელთან ერთად. რიცხვითი სახელი, რიცხვითი სახელის ჯგუფები, რიცხვითი სახელების ბრუნება. ნაცვალსახელი, ნაცვალსახელთა ჯგუფები, ნაცვალსახელთა ბრუნება. ძირეული და წარმოქმნილი სიტყვები, რთული სიტყვები. ზმნა, სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ნიშნები, ზმნის ძირითადი კატეგორიები.

ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები: ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული.

წინადადება. წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები. წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით. წინადადების სახეები აგებულების მიხედვით: მარტივი, შერწყმული, რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. სასვენ ნიშანთა ხმარების წესები.

## ქართული ლიტერატურა

აბიტურიენტმა უნდა იცოდეს:

1. სასკოლო პროგრამაში ასახული ლიტერატურული პროცესის ძირითადი ეტაპები (სასულიერო მწერლობა, კლასიკური ხანის მწერლობა, აღორძინების ხანის მწერლობა, რომანტიზმი, რეალიზმი).
2. სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი ლიტერატურული ნაწარმოებები:
  1. იაკობ ხუცესი - „წმინდა შუშანიკის წამება“.
  2. იოანე საბანისძე - „წმინდა აბო თბილელის წამება“.
  3. გიორგი მერჩულე - „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.
  4. შოთა რუსთველი - „ვეფხისტყაოსანი“.
  5. სულხან-საბა ორბელიანი - „სიბრძნე სიცრუისა“.
  6. დავით გურამიშვილი - „დავითიანი“.
  7. გრიგოლ ორბელიანი - ლექსები: „სადმო გამოსალმებისა“, „თამარ მეფის სახე ბეთნიის ეკლესიაში“, პოემა „სადღეგრძელო“.
  8. ნიკოლოზ ბარათაშვილი - ლექსები: „შემოდგემა მთაწმინდაზე“, „ვპოვე ტაძარი“, „ფიქრი მტკვრის პირას“, „მერანი“, „სული ობოლი“, „სულო ბოროტო“, „რად ჰყვედრი კაცსა“, პოემა „ბედი ქართლისა“.
  9. ილია ჭავჭავაძე - ლექსები: „ყვარლის მთებს“, „ელეგია“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „მას აქეთ, რაკი“, „ბაზალეთის ტბა“, „ქართველის დედას“, „პოეტი“, „ჩემო კალამო“, პოემები: „აჩრდილი“, „განდევილი“; მოთხრობები: „მგზავრის წერილები“, „კაცია-ადამიანი?“, „ოთრანთ ქვრივი“.
  10. აკაკი წერეთელი - ლექსები: „პოეტი“, „ჩანგური“, „სულიკო“, „აღმართ-აღმართ“, „ხატის წინ“, „განთიადი“, ქებათა-ქება“; პოემები: „თორნიკე ერისთვი“, „გამზრდელი“; მოთხრობა „ბაში-აჩუკი“.
  11. ალექსანდრე ყაზბეგი - მოთხრობა „ხვეისბერი გოჩა“.
  12. ვაჟა-ფშაველა - ლექსები: „დამსეტყვე, ცაო“, „არწივი“, „კაი ყმა“, „ჩემი ვედრება“, „არაგვს“, „ღამე მთაში“, „სიმღერა“ („არც რა ტანთ მცვია, არც ფეხთა...“), „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“, „რამ შემქმნა ადამიანად“; პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარმასპინძელი“, „ბახტიონი“; პროზაული თხზულებები: „მთანი მალღნი“, „ხმელი წიფელი“, „ია“, „მთის წყარო“.

## საგამოცდო მითითებანი

აბიტურიენტმა უნდა იცოდეს საგამოცდო პროგრამაში შეტანილი ეპიკური ნაწარმოებების სიუჟეტები, ტექსტში მოცემული ინფორმაცია პერსონაჟების შესახებ (ვინაობა, პორტრეტი, ავტორისეული დახასიათება და სხვა), ტექსტში აღწერილი მოვლენების დრო და სამოქმედო გარემო.

აბიტურიენტს უნდა შეეძლოს მხატვრული ტექსტების ლექსიკის გაგება, ამასთანავე, ლირიკული ნაწარმოებების აზრობრივ და ემოციურ შინაარსში გარკვევა.

აბიტურიენტს მოეთხოვება, გამოავლინოს ნაწარმოებებში გამოკვეთილი სახეების, თხზულებათა თემისა და იდეის, მოტივების, ცალკეული დიალოგის, სიტუაციის არსისა და პერსონაჟთა ქცევის მოტივაციის შესატყვისი გააზრების უნარი; აგრეთვე: დამოუკიდებელი შემოქმედებითი აზროვნება, ლოგიკურად და არგუმენტირებულად მსჯელობა და ლიტერატურული ტესტის მონაკვეთებსა თუ სხვადასხვა მხატვრულ ნაწარმოებებს შორის კავშირების დამყარების უნარი.

აბიტურიენტმა სათქმელი უნდა გადმოსცეს გამართული ქართული სალიტერატურო ენით.

## ტესტების ნიმუში ქართულ ენასა და ლიტერატურაში მაგისტრატურაში (აკადემიაში) შემსვლელთათვის

### 1. შეცდომების გასწორება და ტექსტი ქართულ ენაში (50 ქულა)

ა) ქვემოთ მოცემულ ტექსტში დაშვებულია 10 მორფოლოგიური, სინტაქსური, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომა და სტილისტური ხარვეზი. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, გაასწორეთ ყველა შეცდომა, ხარვეზი და ისე გადაწერეთ, რომ მასში არც ერთი სხვა ცვლილება არ შეიტანოთ. არ შეცვალოთ წინადადებების შინაარსი (წინადადებები დანომრილია).

1. წელს საქართველოში ბევრი ტურისტები ჩამოვიდნენ. 2. მათ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის დათვალიერება მოახდინეს და კმაყოფილნი დარჩენ. 3. ხან და ხან სოფლებსა ოჯახებში ათენებდნენ ღამეებს და განსაკუთრებულათ მოეწონათ ქართული სამზარეულო. 4. მათ ყველგან მეგობრულად შეხვდნენ იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, რაჭაში... 5. საქართველო ხომ განთქმულია მისი სტუმართმოყვარეობით.

### ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ იგივე ტექსტი და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს (სწორი პასუხი შემოხაზეთ):

1. წინადადების რომელი წევრია „საქართველოში“ პირველ წინადადებაში?

- ა) უბრალო დამატება;
- ბ) პირდაპირი დამატება;
- გ) ადგილის გარემოება.

2. რომელ ბრუნვაში დგას სიტყვა „კუთხის“ მეორე წინადადებაში?

- ა) მიცემითში;
- ბ) ნათესაობითში;
- გ) მოქმედებითში.

3. როგორია აგებული მისი მიხედვით მესამე წინადადება?

- ა) მარტივი გავრცობილი;
- ბ) შერწყმული;
- გ) რთული თანწყობილი.

4. რომელი მეტყველების ნაწილია სიტყვა „მათ“ მეოთხე წინადადებაში?

- ა) არსებითი სახელი;
- ბ) ზმნიზედა;
- გ) ნაცვალსახელი.

5. რამდენპირიანია მეხუთე წინადადების ზმნა „განთქმულია“?

- ა) ერთპირიანი;
- ბ) ორპირიანი;
- გ) სამპირიანი.

## ქართული ლიტერატურა

### წაკითხულის გააზრება და წერიტი დავალება (50 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი.

#### დავალება №1

აკ. წერეთლის „გამზრდელში“ კვითხულობთ:

„ალმასხიტს ხომ კარგად იცნობ,  
თავმომწონე ინალიფას?  
მის ცხენსა და მის იარაღს  
ვერვინ დასდებს ღირსეულ ფასს.

ვაჟკაცია თვალ-ტანადი,  
ცხენოსანი უებარი!..  
მეტოქეა ჩემი მხოლოდ,  
ერთნაირი საშიშარი.

შორს გაისმის მისი ქება,  
ჩვენიც ხშირი სტუმარია;  
ბიჭობით და სილამაზით  
ქალებიც კი გადარია.

ერთი მხოლოდ ზია-ხანუმ  
არად აგდებს, არც უყურებს,  
რადგან იცის, რომ სხვებსავეთ  
იმას ის ვერ იმსახურებს.  
ზია-ხანუმ, შენ კი იცი,  
რომ მშვენებით განთქმულია;  
ბევრი კარგი ახალგაზრდა  
მისი ეშხით დაბმულია;

მთვარესავით ხელუხლები,-  
სხივებს ჰფენს და არვის ათბობს;  
მომხიბლავი შორეულად  
თანასწორად ყველას ატკობს.

ჯერ გაჰღალავს, მიიბირებს,  
დაიმონებს, იგდებს ხელში,  
მერე უნდა გამოსცადოს:  
აგდებს მის მსხვერპლს განსაცდელში!..

მეც მომხიბლა ჯადოსანმა,  
დამამარცხა, დამიმონა!..  
და, თუ ქალი მაჯობებდა,  
არ ვფიქრობდი, არ მეგონა...

დამაჩემა: „თუ გიყვარვარ  
და ხარ ჩემი მოგვარეო,  
ინალიფას ლურჯი ცხენი  
ამ სამ დღეში მომგვარეო!“

ინალიფა მის ბედაურს  
არ დაუთმობს ნებით გამჩნს  
და, თუ ვინმე ძალას იხმარს,  
შეაკვდება, არ შეარჩნს!

სხვა გზა არ მაქვს: მოპარვაა  
მხოლოდ ერთადერთი ღონე,  
თუმც-კი სხვა დროს არ იკადრებს  
ამას კაცი თავმომწონე.

აი, რისთვის მოვსულვარ აქ,  
ჩემო კარგო მეგობარო!  
მე მინდა, რომ აღმასხიტის  
ლურჯი ლაფშა მოვიპარო“.

## ა) ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს

(სწორი პასუხი შემოხაზეთ):

1. რატომ არაფრად აგდებს ზია-ხანუმი ინალიფას?

- ა) ინალიფა არ იმსახურებს მის ყურადღებას;
- ბ) იგი ინალიფას თავის მსახურად ვერ აქცევს;
- გ) ეჭვიანობს, რომ ინალიფა სხვას ანიჭებს უპირატესობას.

2. ზია-ხანუმის რომელი თვისება ვლინდება იმით, რომ იგი მეტრფეს განსაცდელში აგდებს?

- ა) იგი ტკბება იმით, რომ თავის ჭკუაზე ათამაშებს მასზე შეყვარებულს;
- ბ) მას სასიკვდილოდ ემეტება თავისი მეტრფე;
- გ) მას მოსწონს ვაჟკაცური ბუნების ადამიანი.

3. რას აღიარებს საფარ-ბეგი?

- ა) რომ ზია-ხანუმი ჯადოსანია;
- ბ) რომ ზია-ხანუმმა დაამარცხა, დაიმონა;
- გ) რომ ზია-ხანუმი ჯადოსანია, მან დაამარცხა, დაიმონა იგი.

4. რატომ არის შეუძლებელი ინალიფას ბედაურის ხელში ჩაგდება?

- ა) იგი მას ნებით არავის დაუთმობს;
- ბ) იგი მოძალადეს მწარედ აზღვევინებს;
- გ) იგი მას ნებით არავის დაუთმობს, მოძალადეს კი მწარედ აზღვევინებს.

5. როგორ აფასებს საფარ-ბეგი თავის გადაწყვეტილებას?

- ა) ვაჟკაცობად მიაჩნია;
- ბ) თავმომწონე კაცისათვის საკადრის საქმედ არ მიაჩნია;
- გ) უკადრის საქმედ მიაჩნია.

## ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ მოცემული ტექსტი, გააანალიზეთ ეს მონაკვეთი და მიეცით მას პატარა თხზულების სახე შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ინალიფას პიროვნებაზე მოცემული მონაკვეთის მიხედვით;
- იმსჯელეთ ზია-ხანუმის პიროვნებაზე მოცემული მონაკვეთის მიხედვით;
- იმსჯელეთ საფარ-ბეგის პიროვნებაზე მოცემული ტექსტის მიხედვით. თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

### დავალება № 2

ვაჟა-ფშაველა ლექსში „ჩემი ვედრება“ წერს:

„ღმერთო, მიიღე ვედრება,  
ეს ჩემი სათხოვარია:  
არ დამეკარგოს გულიდან  
მე შენი სახსოვარია!  
გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში,

მამყოფე შეუდრკელადა;  
 ვფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო  
 დაჩაგრულების მცველადა.  
 ბალახი ვიყო სათიბი,  
 არა მწადიან ცელობა;  
 ცხვრადვე მამყოფე ისევა,  
 ოღონდ ამშორდეს მგელობა;  
 არ წამიხდინო, მეუფევ,  
 ეს ჩემი წმინდა ხელობა!  
 მამრომე საკეთილოდა,  
 თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი,  
 შვილთ საგმოდ არ გამიხადო  
 ჩემი მუდმივი სამყოფი.  
 გულს ნუ გამიქრობ ლამპარსა,  
 მნათობს ტრფობისა შეშით,  
 ნუ მავლევ ქვეყანაზედა  
 გაცივებულის ლეშითა, -  
 თვალეში მადლ-დაკარგულსა,  
 შუბლზედ გაკრულის მეშითა.  
 ნუ დაუკარგავ ჩემს სატრფოს  
 მადლს, გულზე ცეცხლის მდებელსა,  
 ნუ დაუძვირებ ოცნებას,  
 შენს ხმას, სხივ-გამომღებელსა:  
 სიცოცხლედ უღირს ბეჩვსა,  
 ეძახის თავის მხლებელსა.  
 გულს დარდი გამიდიადე  
 იმ სანეტარო საგანზე,  
 დაწერე ფიქრი, ღრმა, მწვავე  
 ჩემის გონების საბანზე!...  
 გონებას ფიქრი სტანჯავდეს,  
 გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი,  
 მშოოდ-მწყუროდეს კეთილი,  
 ვერ გავძლე, მოვკვდე მშიერი...  
 ნუ დამასვენებ ნურა დროს,  
 მამყოფე შეძრწუნებული,  
 მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,  
 როცა ვარ შეწუხებული;  
 როცა გულს ცეცხლი მედება,  
 გონება მსჯელობს საღადა, -  
 მაშინ ვარ თავისუფალი,  
 თავს მაშინა ვგრძნობ ლაღდა.  
 მფარავდეს შენი მარჯვენა,  
 კალთა სამოსლის შენისა,  
 სანამ არ მოვა დრო-ჟმი  
 სულ ბოლოს ამოქშენისა.  
 სული - შენ, ლეში - მიწისა,  
 აღარა ვგლოვობ ამასა;  
 თევზი - წყალს, ცასა - ვარსკვლავი,  
 შვილი - დედას და მამასა.“

**ა) ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს (სწორი პასუხი შემოხაზეთ):**

1.რას სთხოვს ვაჟა უფალს (პირველი მონაკვეთის მიხედვით)?



- ა) ტანჯვაში გაუტეხლობას, მოყვასისათვის თავგანწირვის უნარს;
- ბ) მუდმივ მღვიძარებას;
- გ) ტანჯვაში გაუტეხლობას, მუდმივ მღვიძარებას, მოყვასისათვის თავგანწირვის უნარს.

2.რა მიაჩნია პოეტს „წმინდა ხელობად“?

- ა) ბოროტებაზე (ძალადობაზე) უარის თქმა;
- ბ) ბოროტების აღმოფხვრა;
- გ) ბოროტის კეთილით დათრგუნვა.

3.რა უნდა იყოს პოეტის შემოქმედების მასაზრდოებელი?

- ა) ღვთებრივი მადლი;
- ბ) სიყვარული;
- გ) სიკეთე.

4.რა აზრია ჩაქსოვილი სიტყვებში:

- ა) მუდამ სიკეთის თესვის ჟინით ვიყო შეპყრობილი;
- ბ)რაც უნდა ბევრი სიკეთე ვთესო, მეტის და მეტის დაუნჯების სურვილი მქონდეს, საფლავშიც სიკეთის თესვის სურვილი მქონდეს;
- გ) მუდამ სიკეთის თესვის სურვილით ვიყო შეპყრობილი, რაც უნდა ბევრი მადლი მოვიხვეჭო, მეტის და მეტის დაუნჯების წადილი მქონდეს, საფლავშიც ეს სურვილი ჩამყვეს.

5.როდის არის პოეტი ბედნიერი?

- ა) როცა სიკეთის თესვის სურვილი არ ასვენებს;
- ბ) როცა მოყვასის ბედზე წუხს;
- გ) როცა სიკეთის თესვის სურვილი არ ასვენებს, როცა მოყვასის ბედზე წუხს.

## **ბ) გააანალიზეთ ლექსი „ჩემი ვედრება“ და მიეცით მას მოკლე თხზულების სახე შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- ჩამოაყალიბეთ ვაჟს მოქალაქეობრივი პორტრეტი მოცემული ტექსტის მიხედვით;
- იმსჯელეთ ვაჟს მორალურ-ზნეობრივ მრწამსზე მოცემული ტექსტის მიხედვით;
- იმსჯელეთ ვაჟს პოეტური აზროვნების ქრისტიანულ საყრდენებზე მოცემული ტექსტის მიხედვით.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

*შენიშვნა: წარმოდგენილი ნიმუშები საგამოცდო ბილეთებში არ შევა.*

### **რით ვიხელმძღვანელოთ ძველი ქართული ლიტერატურა**

1. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია (IXკლასი).
2. შოთა რუსთველი, „ვეფხისტყაოსანი“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ნ.ნათაძემ, თბ., 1986.
3. ქართული მწერლობა, ტ. 1,4,7.
4. ქართული პოეზია, ტ. II-V.
5. კ. კეკელიძე, ალ.ზარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1987.
6. გ. ალიბეგაშვილი, ვ. მაღლაფერიძე, გ. მურდულია, საუბრები ქართულ ლიტერატურაზე, თბ., 1992.

### **ახალი ქართული ლიტერატურა**

1. ქართული მწერლობა, ტ. 9, 11, 12, 16, 17.
2. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1956; 1972. ტ. II, 2010.

## ქართული ენა

1. ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა: V, VI, VII, VIII, IX კლასის სახელმძღვანელოები.
2. ზ. ჭუმბურიძე, რ. გაბეჩვა, ქართული ენა, კლასის სახელმძღვანელო, 1997.
3. ლ. გეგუშაძე, ქართული ენა (აბიტურიენტთა დასახმარებლად), ნაწილი I-VII, 1997-2009.

## მისაღები გამოცდების პროგრამა „წმინდა წერილში“

### გელათის სასულიერო აკადემიაში - მაგისტრატურაში შემსვლელთათვის

გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მაგისტრატურაში (აკადემიაში) სწავლის მსურველებს მოეთხოვება წმინდა წერილის წიგნთა ცოდნა (ძველი აღთქმა, ახალი აღთქმა). უნდა შეეძლოს გადმოცემული მასალის საკვანძო საკითხების ზოგადი განმარტება და ბიბლიური ტექსტის სულის წვდომა. სათქმელი უნდა გადმოსცეს გამართული სალიტერატურო ენით.

გამოცდა ჩატარდება ზეპირი ფორმით.

## ძველი აღთქმა

1. ძველი აღთქმის წიგნების რაოდენობა; კანონიკური და არაკანონიკური წიგნები. მათი დაყოფა შინაარსის მიხედვით;
2. მოსეს ხუთწიგნეულის ზოგადი მიმოხილვა;
3. სამყაროს შექმნაწმ. წერილის მიხედვით;
4. ადამიანის შექმნა და ნეტარი ცხოვრება ედემში;
5. ცოდვით დაცემა;
6. კაენი და აბელი;
7. პატრიარქთა ხანა. კაენისა და სეითის მოდგმა და მათი შერევა;
8. წარღვნა. ადამიანთ მოდგმა წარღვნის შემდგომ; ნოე, მისი შვილები;
9. ბაბილონის გოდოლი;
10. ღვთისგან აბრაამის მოწოდება და მისი გადასახლება ქანაანში. მართალი ღოთის განთავისუფლება. მელქისედეკი;
11. აგარი და ისმაილი. ღვთის აღთქმა აბრაამთან და წინადაცვეთა. ისაკის დაბადება და მისი შეწირვა;
12. ისაკის შვილები - ესავი და იაკობი. საიდუმლო კიბის ხილვა - იაკობის მესოპოტამიაში გამგზავრება;
13. იაკობის შვილები;
14. იოსები, მისი გაყიდვა და განდიდება ეგვიპტეში.
15. იოსების შეხვედრა ძმებთან, იაკობის გადასახლება ეგვიპტეში.
16. მოსე წინასწარმეტყველის შობა და აღზრდა, მადიამში გახიზვნა;
17. ღვთის გამოცხადება მაცვლოვანში, მოსეს მიერ ებრაელი ერის გამოყვანა ეგვიპტიდან;
18. პასეჟი. სჯულდება - სჯულის მიღება სინას მთზე;
19. მოძრავი ტაძრი; მღვდლობის და ღვთისმსახურების დაწესება.

20. მნიშვნელობა. კორახის, დათანის და აბირონის ამბოხი.
21. სპილენძის გველის აღმართვა. მისი სიმბოლური მოსეს გარდაცვალება.
22. ისუ ნავეს ძის გამორჩევა ებრაელთა ერის წინამძღვრად, ებრაელების გადასვლა მდინარე იორდანეზე.
23. აღთქმული ქვეყნის დაპყრობა-დანაწილება.
24. მსაჯულთა ხანა.
25. რუთის ისტორია და მისი მნიშვნელობა.
26. მსაჯული დებორა და ბარაკი.
27. მსაჯული სამსონი.
28. მსაჯული გედეონი;
29. მსაჯული იფთე გალაადული.
30. მღვდელმთავარი ელი და წინასწარმეტყველი სამოელი.
31. მეფობის შემოღება ისრაელში. ებრაელი ერის პირველი მეფე საული;
32. ისრაელის მეორე მეფე დავითი;
33. სოლომონის გამეფება. იერუსალიმის ტაძრის აგება და კურთხევა.
34. სოლომონის მეფობის ბოლო პერიოდი. ერთიანი სამეფოს გაყოფა.
35. ისრაელის სამეფოს ისტორია.
36. იუდას სამეფოს ისტორია;
37. იობის წიგნის მიმოხილვა.
38. ზოგადი ცნობები წინასწარმეტყველებზე;
39. დიდი წინასწარმეტყველი - ესაია;
40. დიდი წინასწარმეტყველი - იერემია;
41. დიდი წინასწარმეტყველი - ეზეკიელი;
42. დიდი წინასწარმეტყველი - დანიელი;
43. მცირე წინასწარმეტყველები - იოველი, იონა, ამოსი;
44. მცირე წინასწარმეტყველები - ოსია, მიქია, ნაუმი;
45. მცირე წინასწარმეტყველები - სოფონია, ამბაკუმი, აბდია;
46. მცირე წინასწარმეტყველები - ანგეა, ზაქარია, მალაქია;
47. მართალი ტობიას ისტორია;
48. ბაბილონის ტყვეობა; იუდეველთა დაბრუნება ტყვეობიდან;
49. მეორე ტაძრის აგება; ეზრას და ნეემიას ღვაწლი;

50. ესთერის და მარდოქეს ისტორია;
51. ებრაელთა დევნა ანტიოქ ეპიფანესგან;
52. მაკაბელთა ღვაწლი და მმართველობა.

## ახალი აღთქმა

1. ზოგადი ცნობები ახალი აღთქმის წიგნთა შესახებ;
2. გაბრიელ მთვარანგელოზის ხარება ზაქარასთვის უფლის წინამორბედის შობის შესახებ და ხარება ყოვლადწმინდა ქალწულისა მარიამისი; ყოვლადწმინდა ქალწული მარიამი ელისაბედთან; შობა იოანე წინამორბედისა;
3. შობა იესო ქრისტესი, მოგვთა თყვანისცემა; წინადაცვეთა იესო ქრისტესი; მირქმა;
4. წმინდა ოჯახის ლტოლვა ეგვიპტეში; ბეთლემში ყრმათა ამოწყვეტა; წმინდა ოჯახის ნაზარეთში დაბრუნება. ყრმა იესო ტაძრში;
5. იოანე წინამორბედის ქადაგება უდაბნოში;
6. ნათლისღება იესო ქრისტესი; იესო ქრისტეს გამოცდა უდაბნოში;
7. იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები და მისი პირველი სასწაული ქორწილში გალილეის კანაში;
8. იესო ქრისტეს საუბარი ნიკოდომოსთან; იესო ქრისტეს საუბარი სამარიტელ დედაკაცთან;
9. თორმეტი მოციქულის გამორჩევა და საქადაგებლად წარგზავნა;
10. ქადაგება მთაზე; ( ცხრა ნეტარება);
11. ასისტავის მსახურის განკურნება კაპერნაუმში და ქანაანელი დედაკაცის ეშმაკეული ასულის განკურნება;
12. სისხლმდინარე დედაკაცის განკურნება და იაიროსის ასულის აღდგინება;
13. ხუთი პურით ხუთი ათის დაპურება და იესოქრისტეს საუბარი კაპერნაუმის სინაგოგაში;
14. პეტრე მოციქულის აღიარება. ფერიცვალება იესო ქრისტესი;
15. იგავი მოწყალე სამარიტელზე. იესო ქრისტე მართასა და მარიამის სახლში;
16. ბრმადშობილის განკურნება;
17. იგავი დაკარგულ ცხვარზე, დაკარგულ დრაქმასა და უძღებ შვილზე;
18. ათასი კეთროვნის განკურნება. იგავი უსამართლო მსაჯულზე, მეზურესა და ფარისეველზე;
19. მდიდარი ჭაბუკისათვის ხსნის გზის ჩვენება და იგავი ვენახში მომუშავეთა თანაბარი ანაზღაურების შესახებ;
20. ლაზარეს აღდგინება;
21. ბრმათა განკურნება იერიქონში. ზაქეს მოქცევა;
22. ბეთანიაში ქრისტესთვის მარიამისაგან ნელსაცხებლის ცხება;
23. იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში;
24. საიდუმლო სერობა. ფეხთბანვა;
25. იუდას გამცემლობა. იესო ქრისტეს ლოცვა გეთსიმანის ბაღში და მისი შეპყრობა;
26. მაცხოვარი ანნასა და კაიაფის სამსჯავროზე;
27. პეტრე მოციქულისაგან იესო ქრისტეს უარყოფა და მისი სინანული;
28. იესო ქრისტე პილატეს სამსჯავროზე;
29. იესო ქრისტეს ჯვარცმა;
30. ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი. მენელსაცხებლე დედეები. პეტრე და იოანე მაცხოვრის საფლავთან;
31. მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ქრისტეს გამოცხადებები;
32. ზოგადი მიმოხილვა წიგნისა „საქმე მოციქულთა“;
33. ამაღლება იესო ქრისტესი;
34. სულიწმინდის გადმოსვლა მოციქულებზე და პეტრე მოციქულის ქადაგება;
35. მოციქულთა კრება;
36. სავლეს მოქცევა. მისი ქადაგება დამასკოსა და იერუსალიმში;
37. წმ. იაკობ მოციქულის კათოლიკე ეპისტოლე და მისი ზოგადი მიმოხილვა;
38. წმ. პეტრე მოციქულის პირველი კათოლიკე ეპისტოლე და მისი ზოგადი მიმოხილვა;

39. წმ. პეტრე მოციქულის მეორე კათოლიკე ეპისტოლე და მისი ზოგადი მიმოხილვა;
40. წმ. იოანე მოციქულის კათოლიკე ეპისტოლეები და მათი ზოგადი მიმოხილვა;
41. წმ. იუდა მოციქულის კათოლიკე ეპისტოლე და მისი ზოგადი მიმოხილვა;
42. ზოგადი ცნობები პავლე მოციქულის ეპისტოლეთა შესახებ;
43. კორინთელთა მიმართ ეპისტოლის დაწერის მიზეზი და მიზანი;
44. წმ. პავლე მოციქული სიყვარულის შესახებ; 1 კორინთ. მე-13.თ.
45. წმ. პავლე მოციქულის სწავლება ცოლ-ქმრულ მოვალეობათა შესახებ ეფესელთა მიმართ ეპისტოლის მიხედვით;
46. წმ. პავლე მოციქულის სწავლება მეორედ მოსვლისა და ანტიქრისტეს შესახებ თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლეების მიხედვით;
47. ცნობები წმ. ტიმოთე მოციქულის შესახებ;
48. წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლის ფილიმონის მიმართ;
49. ებრაელთა ეპისტოლის ავტორის შესახებ;

## საგამოცდო ბილეთის ნიმუში

1. პატრიარქთა ხანა. კაენისა და სეითის მოდგმა და მათი შერევა;
2. სოლომონის მეფობის ბოლო პერიოდი. ერთიანი სამეფოს გაყოფა;
3. სისხლმდინარე დედაკაცის განკურნება და იაროსის ასულის აღდგინება მკვდრეთით;
4. წმ. პავლე მოციქულის სწავლება მეორედ მოსვლისა და ანტიქრისტეს შესახებ თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლეების მიხედვით;

*შენიშვნა: წარმოდგენილი ნიმუში საგამოცდო ბილეთებში არ შევა.*

## II ლიტერატურა:

1. ბიბლია (ძველი და ახალი აღთქმა), საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბ., 1989.
2. ლოპუხინი ა.პ. - ბიბლიის განმარტებანი, ტ I-V. თბ., 2000-2005;
3. წმ. ბასილი დიდი - ჰომოლიები ექვსი დღისათვის. თბ., 2006.
4. წმ. გრიგოლ ნოსელი - შესაქმისათვის კაცისა. თბ., 2001;
5. ნესტორ ყუბანეიშვილი, დეკანოზ - ძველი აღთქმის საღვთო ისტორია. თბ., 1990;
6. სახელმძღვანელო ძველი აღთქმის წიგნების შესასწავლად - ისტორიული წიგნები (კანონიკური წიგნები) - მთარგმნელი მთვარ ეპისკოპოსი ზოსიმე, წილკნისა და დუშეთის ეპარქიის გამოცემა, თბ., 2005;
7. ძველი აღთქმის საწინასწარმეტყველო წიგნთა განმარტებები. შემდგენელი: დეკანოზი აკაკი მეგრელიშვილი, თბ., 2011;
8. ამბერკი (ტაუშევი), მთვარეპ. - საქმე მოციქულთა (ტექსტი, განმარტება). თბ., 2011;
9. ამბერკი (ტაუშევი), მთვარეპ. - სახელმძღვანელო ახალი აღთქმის წიგნების შესასწავლად, კათოლიკე ეპისტოლენი. ქუთისი, 2012;
10. ამბერკი (ტაუშევი), მთვარეპ. - სახელმძღვანელო ახალი აღთქმის წიგნების შესასწავლად, პავლე მოციქულის ეპისტოლენი. თბ., 2010;
11. განმარტება სამოციქულოსი - გამოკრებილი იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდათ მამათა თხზულებებიდან. თბ., 2000;
12. ნეტ. თეოფილაქტე ბულგარელი - მათეს სახარების განმარტება. თბ., 2005;
13. ნეტ. თეოფილაქტე ბულგარელი - მარკოზის სახარების განმარტება. თბ., 2007;
14. ნეტ. თეოფილაქტე ბულგარელი - ლუკას სახარების განმარტება თბ., 2010;
15. ნეტ. თეოფილაქტე ბულგარელი - იოანეს სახარების განმარტება. თბ., 2008;
16. წმ. იოანე ოქროპირი - მათეს სახარების განმარტება. თბ., 1996;
17. წმ. იოანე ოქროპირი - იოანეს სახარების განმარტება. თბ., 1993;

18. საკვირაო და სადღესასწაულო სახარებათ ახსნა-განმარტება (მთელი წლისა) ორ ნაწილად; ნაწილი პირველი: საკვირაო სახარებათა განმარტება - შედგენილი დეკანოზ გრიგოლ დიაჩენკოს მიერ; თარგმნა ვ. ბურკაძემ, ფოთის ეპარქიის გამოცემა, თბ., 2001;
19. საკვირაო და სადღესასწაულო სახარებათა ახსნა-განმარტება (მთელი წლისა) ორ ნაწილად; ნაწილი მეორე: სადღესასწაულო სახარებათა განმარტება - შედგენილი დეკანოზ გრიგოლ დიაჩენკოს მიერ; თარგმნა ვ. ბურკაძემ, ფოთის ეპარქიის გამოცემა, თბ., 2002.

## **მისაღები გამოცდების პროგრამა და ჩატარების ფორმა „ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლებში“**

აბიტურიენტმა გამოცდაზე უნდა გამოავლინოს პროგრამით გათვალისწინებული საკითხების საფუძვლიანი ცოდნა, უნდა შეეძლოს აზრის ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბება.

**გამოცდა ჩატარდება ზეპირი ფორმით.**

**საგამოცდო საკითხები „ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლებში“ გელათის  
სასულიერო აკადემიაში - მაგისტრატურაში შემსვლელთათვის**

1. დოგმატური ღმრთისმეტყველების საგანი და ამოცანები;
2. დოგმატის ცნება;
3. დოგმატების წყარო - წმ. გარდამოცემა;
4. ღმრთისშემეცნების შესახებ;
5. ღმრთის არსი და მისი თვისებები;
6. დოგმატი ყოვლადწმინდა სამების შესახებ;
7. ყოვლადწმინდა სამების შესახებ მითითებები წმ. წერილში;
8. სწავლება მამა ღმერთის შესახებ;
9. სწავლება ძე ღმერთის შესახებ;
10. სწავლება სულიწმინდის შესახებ;
11. ყოვლადწმინდა სამების პირთა ჰიპოსტასური (პიროვნული) თვისებები;
12. ღმერთი - სამყაროს შემოქმედი;
13. ღმერთი - სამყაროს განმგებელი;
14. ანგელოზები წმ. წერილში, ანგელოზთა შექმნა და მათი ბუნება;
15. ანგელოზთა სრულყოფილება, მათი რიცხვი, დასები და მსახურება;
16. სწავლება ბოროტ ანგელოზთა შესახებ;
17. ადამიანის შექმნა;
18. ადამიანის ბუნების შემადგენლობა;
19. ადამიანი - ხატება და მსგავსება ღმრთისა და მისი დანიშნულება;
20. ადამიანის სულის უკვდავება;
21. ცალკეულ ადამიანთა სულების წარმომავლობა;

22. ადამიანის მდგომარეობა ცოდვით დაცემამდე;
23. ადამიანის ცოდვით დაცემა და ცოდვით დაცემის შედეგები;
24. პირველქმნილი ცოდვა;
25. კაცობრიობის მომზადება გამოხსნისათვის;
26. უფალ იესო ქრისტეს ღმრთეებრივ და ადამიანურ ბუნებათა შესახებ;
27. სწავლება უფალ იესო ქრისტეში ორი ბუნების შეერთების შესახებ;
28. სწავლება უფალ იესო ქრისტეში ერთი ჰიპოსტასისა და მისი ადამიანური ბუნების უცოდველობის შესახებ;
29. უფალ იესო ქრისტეს სამმხრივი მსახურება;
30. უფალ იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შედეგები;
31. სწავლება ქრისტეს ეკლესიის შესახებ;
32. ქრისტეს ეკლესიის თვისებები;
33. საეკლესიო იერარქია;
34. სწავლება საღმრთო მადლის შესახებ;
35. ნათლისღების საიდუმლო;
36. მირონცხების საიდუმლო;
37. ზიარების საიდუმლო;
38. სინანულის საიდუმლო;
39. მღვდლობის საიდუმლო;
40. ქორწინების საიდუმლო;
41. ზეთის კურთხევის საიდუმლო;
42. ლოცვა, როგორც ეკლესიის ცხოვრების გამოხატულება ხატებისა და წმიდა ნაწილების თაყვანისცემა;
43. გარდაცვლილი ადამიანის მდგომარეობა საყოველთაო სამსჯავრომდე – პირადი სამსჯავრო;
44. საშინელი სამსჯავროს მოახლოების ნიშნები და უფლის მეორედ მოსვლის შესახებ;
45. მიცვალებულთა აღდგომა და საყოველთაო სამსჯავრო;

### **საგამოცდო ბილეთის ნიმუში**

1. ღმრთისშემეცნების შესახებ;
2. პირველქმნილი ცოდვა;
3. ხატებისა და წმიდა ნაწილების თაყვანისცემა;

*შენიშვნა: წარმოდგენილი ნიმუში საგამოცდო ბილეთებში არ შევა.*

**ლიტერატურა:**

1. ილარიონი (ალფეევი), მიტროპ. – სარწმუნოების საიდუმლო. “ფერისცვალება,” თბ., 2013;
2. წმ. იოანე დამასკელი - «მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“. ძვ. ბერძნულიდან თარგმნა ე. ჭელიძემ, სსგ, თბ., 2000.
3. მალკოვი პ. ი. – მართლმადიდებელი ეკლესიის საიდუმლოებანი. თბ., 2010;
4. მსოფლიო საეკლესიო კრებები და დოგმატური ღმრთისმეტყველება. დოგმატურ – ისტორიული საკითხები. შეადგინა გრ. რუხაძემ, სსგ, თბ., 2004;
5. პომპიანსკი მიხეილ, პროტოპრესვიტ. – დოგმატური ღმრთისმეტყველება. თბ., 2006.

**საგამოცდო საკითხები**  
**„ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლებში“**  
**გელათის სასულიერო სემინარიასა და ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის**  
**ფაკულტეტებზე - ბაკალავრიატში შემსვლელთათვის**

1. სჯული – რელიგია და მისი დანიშნულება;
2. რას ნიშნავს „ქრისტიანობა“ და რა მოძღვრებას გულისხმობს იგი;
3. საღვთო გამოცხადება, საღვთო გარდამოცემა;
4. საღვთო წერილის შედგენილობა, ღვთივსულიერება, კანონიკური და არაკანონიკური წიგნები, ავტორები, სამწერლობო ენა;
5. წინასწარმეტყველებისა და სასწაულის არსი;
6. შესაქმის ექვსი დღე;
7. ადამიანის შექმნა;
8. სწავლება სამოთხის შესახებ;
9. პირველქმნილი ცოდვა;
10. სწავლება ცოდვით დაცემული კაცობრიობის გამოხსნის შესახებ;
11. სწავლება ღვთისმშობლის შესახებ;
12. ჯვარი და მისი მნიშვნელობა;
13. სწავლება ქრისტეს ეკლესიის შესახებ;
14. შვიდი საეკლესიო საიდუმლო:
15. ათი მცნება (თითოეული მცნების განმარტება ცალცალკე);
16. ცხრა ნეტარება (თითოეული ნეტარების განმარტება ცალცალკე);
17. „მრწამსი“ (თითოეული წევრის განმარტება ცალცალკე);
18. საუფლო ლოცვა – „მამაო ჩვენო“ (განმარტება);
19. წმინდა ნაწილების თაყვანისცემა;
20. წმინდა ხატების თაყვანისცემა;
21. ლოცვა და მისი მნიშვნელობა;
22. მარხვა და მისი მნიშვნელობა.
23. ზრუნვა გარდაცვალებულთა სულებისათვის;

**უდიდესი საეკლესიო დღესასწაულები:**



24. ბრწყინვალე აღდგომა;

**ათორმეტაგან მოძრავნი:**

25. ბზობა;

26. მაცხოვრის ამაღლება;

27. სულთმოფენობა;

**ათორმეტაგან უძრავნი:**

28. ქრისტეშობა;

29. იესო ქრისტეს ნათლისღება – ყოვლადწმინდა სამების განცხადება;

30. მირქმა;

31. ხარება;

32. მაცხოვრის ფერისცვალება;

33. მარიამობა – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინება;

34. ღვთისმშობლობა – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობა;

35. ჯვართამაღლება;

36. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება;

**დიდი დღესასწაულები:**

37. წინადაცვეთა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი;

38. წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობა;

39. პეტრე-პავლობა;

40. წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა;

41. დღესასწაული საუფლო კვართისა და მირონმდინარე სვეტისა – სვეტიცხოვლობა;

42. სვეტიცხოვლობა – კრება ათორმეტა მოციქულთა;

43. ნინობა;

44. გიორგობა;

ლოცვები: „მამაო ჩვენო“; „მეუფეო ზეცათაო“ – (ზეპირად);

50-ე ფსალმუნი (ზეპირად);

90-ე ფსალმუნი (ზეპირად);

ტროპარები (ზეპირად):

მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი;

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა;

„ღირს არსი“;

წმ. ნინოს ტროპარი;  
წმ. გიორგის ტროპარი;  
წმ. ნიკოლოზის ტროპარი;  
სამი საღვთისმეტყველო სათნოება;  
შვიდი ნიჭი სულისა წმინდისა;  
ცხრა ნაყოფი სულისა წმინდისა;  
შვიდი საქმე ხორციელი სიბრალულისა;  
შვიდი მოწყალებათა საქმე სულიერი;  
შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა და წამალი მათი – შვიდი სათნოება.

### საგამოცდო ბილეთის ნიმუში

1. „მრწამსი“- ზეპირად; 1-ლი წევრის განმარტება;
2. ათი მცნება – ზეპირად; მე-6 მცნების განმარტება;
3. მარიამობა – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინება;
4. შვიდი ნიჭი სულისა წმინდისა.

*შენიშვნა: წარმოდგენილი ნიმუში საგამოცდო ბილეთებში არ შევა.*

### ლიტერატურა:

1. ეკლესიის საუნჯე – მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები. თბ., 2013;
2. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კალენდრები: 1989, 1991 1992, 1995 წლები;
3. სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად. თბ. 1994;
4. წმ. ფილარეტი (დროზდოვი) – ვრცელი მართლმადიდებლური კატეხიზმო. თბ., 2010.

### მისაღები გამოცდების პროგრამა და ჩატარების ფორმა

#### საქართველოს ისტორიაში

ქუთისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში სწავლის მსურველს მოეთხოვება საქართველოს ისტორიის ცოდნა ქვემოთ წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში. უნდა შეეძლოს არგუმენტირებული მსჯელობა საკვანძო საკითხებზე, აზრის მკაფიოდ და დასაბუთებულად გადმოცემა.

გამოცდა ტარდება ზეპირი ფორმით.

## საგამოცდო საკითხები საქართველოს ისტორიაში

### გელათის სასულიერო აკადემიაში -

### მაგისტრატურაში შემსვლელთათვის

1. საქართველოს ისტორიის ქართული და უცხოური წყაროები;
2. საქართველოს ისტორიის დამხმარე დისციპლინები;
3. ისტორია და თანამედროვეობა;
4. ქართველი ხალხის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში;
5. ქართველი ხალხის წარმომავლობის საკითხი (უცხოური და ძვ. ქართული წყაროები; თანამედროვე ისტორიოგრაფული პოზიციები). 1
6. უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებები (დიაოსი, კოლხა); ბერძენი მწერლების ცნობები ძველი კოლხეთის შესახებ; 2
7. ეგრისი (კოლხიდა) და ბერძნული ახალშენები. 3
8. ქართული სახელმწიფოები და ელინისტური სამყარო; ფარნავაზ მეფე და მისი ეპოქა. 4
9. საქართველო-რომის ურთიერთობები ანტიკურ ხანაში: პომპეუსის ქართლსა და კოლხეთში ლაშქრობის მიზეზები; ფარსმან II და ფარსმან III. 5
10. წარმართობა საქართველოში და ანტიკური ქართული კულტურა. 6
11. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება: საქართველო - ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა; მოციქულები და საქართველო; პირველი ქრისტიანული თემები საქართველოში. 7
12. ქართული და უცხოური წყაროები გაქრისტიანების შესახებ (მოქცევაი ქართლისაი, გელასი კესარიელი). 8
13. ადრეფეოდალური ურთიერთობების ჩასახვა და განვითარება III – IV საუკუნეებში. 9
14. ბრძოლა ირანსა და ბიზანტიას შორის პირველობისათვის კავკასიაში IV- V საუკუნეებში. 10
15. ქართლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის V ს-ის II ნახევარში. 11
16. ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმა. საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვება. 12
17. ასურელი მამები. 13
18. ქართლი VI საუკუნეში (მეფობის გაუქმება, ქართლის საერისმთავროს შექმნა). 14
19. ეგრისის (ლაზიკის) სამეფო IV-VI სს-ში; ლაზიკის სამეფოს წარმოშობა, „დიდი ომიანობა ეგრისში“. 15
20. დიდი საეკლესიო განხეთქილება ამიერკავკასიაში. დიოფიზიტური ქართლის დაპირისპირება მონოფიზიტურ სომხეთთან (წყაროები). 16

21. ბიზანტიის იმპერია და საქართველო VII საუკუნის პირველ ნახევარში (ჰერაკლე კეისრის ლაშქრობა). 17
22. არაბების პირველი გამოჩენა საქართველოში; „დაცვის სიგელი“ ქართლში, არაბები დასავლეთ საქართველოში. 18
23. მურვან ყრუს ლაშქრობა საქართველოში, წმინდა მოწამენი დავით და კონსტანტინე, ამირას ხელისუფლება თბილისში. 19
24. საქართველოს ეკლესია არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ. 20
25. ახალი ფეოდალური სამეფო-სამთვროების წარმოშობა VIII-IX საუკუნეებში. 1
26. ქართული კულტურა IV-VIII საუკუნეებში.
27. სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონთა გვარის წარმომავლობის შესახებ. 2
28. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის: დავით კურაპალატი, იოანე მარუშისძე, ბაგრატ III კურაპალატი - საქართველოს გაერთიანების დასაწყისი. 3
29. საქართველო -ბიზანტიის (გრიგოლ ბაკურიანის ძე, მარიამ-მართა, გიორგი მთწმინდელი, გიორგი I , ბაგრატ IV) ურთიერთობა XI საუკუნეში. 4
30. ქართული კულტურა IX-XI საუკუნეებში, საზღვარგარეთული სამონასტრო ცენტრები (საბაწმინდა, სინას მთა, ათონი, შავი მთა). 5
31. საქართველო-სელჩუკების ურთიერთობა XI საუკუნეში ( „დიდი თურქობა“). 6
32. წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის რეფორმები. 7
33. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება. 8
34. საქართველო XII საუკუნის 30-50-იან წლებში (დავით აღმაშენებლის მემკვიდრეები). 9
35. საქართველო XII საუკუნის 70-90-იან წლებში (გიორგი III, თამარ მეფე). 10
36. თამარის საგარეო პოლიტიკა (შამქორისა და ბასიანის ბრძოლები, ტრაპზონის იმპერიის დაარსება). 11
37. სახელმწიფო მმართველობა და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XII-XIII საუკუნეებში.
38. საქართველოს კულტურა XII-XIII საუკუნეებში. 12
39. ლაშა-გიორგის მეფობა. მონღოლთა პირველი გამოჩენა საქართველოში. 13
40. რუსუდანის მეფობა. ჯალალ ედ-დინის ლაშქრობა, მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობა. 14
41. მონღოლთა ბატონობა საქართველოში (ცოტნე დადიანი; ორმეფობა; მონღოლების მიერ საქართველოს აღწერა; დემეტრე II). 15
42. გიორგი ბრწყინვალე და საქართველოს ერთიანობის აღდგენა. 16
43. გიორგი ბრწყინვალეს საგარეო პოლიტიკა (ურთიერთობა მონღოლებთან, ეგვიპტის სასულთანოსთან და რომის პაპთან).
44. საქართველო XIV ს-ის II ნახევარში, თემურ ლენგის შემოსევები. 17
45. ალექსანდრე I-ის რეფორმები (ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება და საქართველო). 18
46. საქართველოს დაშლა სამეფო-სამთვროებად (გიორგი VIII; ერთიანი სამეფოს დაშლის საგარეო და საშინაო მიზეზები). პროვინციული სამეფოები და პროვინციელი მეფეები. 19

47. საქართველოს ეკლესიის დაშლის მცდელობები XV ს-ში.
48. შინაფეოდალური ომები XVI ს-ის I ნახევრის საქართველოში.
49. ქართული სამეფო-სამთვროები XVI საუკუნის პირველ ნახევარში (ლუარსაბ I, ბაგრატ III, ამასიის ზავი და მისი გამომახილი საქართველოსთვის). 20
50. ქართული სამეფო-სამთვროები XVI საუკუნის მეორე ნახევარში (სიმონ I -ის ბრძოლა ყიზილბაშებისა და ოსმალების წინააღმდეგ; სამცხე XVI საუკუნეში; კახეთის ურთიერთობა რუსეთთან).
51. საქართველო XVII საუკუნეში (ზოგადი მიმოხილვა). 1
52. წმინდა მოწამე ქეთევან დედოფალი, წმინდა მეფე ლუარსაბ II. 2
53. გაორებული ქართველი მოღვაწენი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში.
54. საქართველოს ეკლესიის ბრძოლა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ XVI-XVIII საუკუნეებში. 3
55. ბახტრიონის ბრძოლა და ბახტრიონის გმირები. 4
56. ვახტანგ VI (კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, ელჩობა ევროპაში, ვახტანგ VI და პეტრე I). 5
57. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში - „ოსმალთა“ და „ყიზილბაშთა“.
58. ქართლისა და კახეთის ქრისტიანი მეფეები -თეიმურაზი და ერეკლე.
59. ერეკლე II - ქართლ-კახეთის მეფე (ერეკლეს II-ის რეფორმები, ერეკლე II და რუსეთ-თურქეთის ომი, ცნობები ერეკლე II ის შესახებ ევროპულ ლიტერატურაში). 6
60. დასავლეთ საქართველო XVIII ს-ში. სოლომონ I; საქართველოს გაერთიანების მცდელობა 1790 წ. ივერიელთა ერთობის ტრაქტატი. 7
61. გეორგიევსკის ტრაქტატიდან საქართველოს ანექსიამდე (1783 წლის ტრაქტატი, ალა-მაჰმად ხანის შემოსევა, გიორგი XII-ის ნოტა). 8
62. ქართული კულტურა XVII-XVIII საუკუნეებში.
63. 1801 წლის მანიფესტი და რუსული მმართველობის დამყარება აღმოსავლეთ საქართველოში. 9
64. დასავლეთ საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ. წმინდა მეფე სოლომონ მეორე. 10
65. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, ეგზარქოსობის დაწესება. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათლიკოსოს გაუქმება. 11
66. ბრძოლა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ XIX საუკუნის I ნახევარში. 12
67. რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ომები და მისი შედეგები საქართველოსთვის.
68. ცვლილებები რუსეთის იმპერიის კოლონიური მმართველობის სისტემაში (მეფისნაცვლობის დამყარება, მიხეილ ვორონცოვი).
69. ბატონყმობის გაუქმება, XIX ს. 60-70 -იანი წლების რეფორმები.
70. ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა. თერგდალეულები. 13

71. პოლიტიკური პარტიები, რევოლუციები რუსეთში და საქართველო.
72. პირველი მსოფლიო ომი და ეროვნული საკითხი. 14
73. ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. ავტოკეფალიის აღდგენა. კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II. 15
74. დამოუკიდებელი საქართველო 1918-21 წლებში. 16
75. საქართველოს ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალში. 17
76. საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციასა და საბჭოთა კავშირში 20-30-იან წლებში.
77. ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში (1921-24 წლებში).
78. საქართველოს ეკლესია 1921-27 წლებში. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას მიმართვა გენუის კონფერენციისადმი.
79. მასობრივი რეპრესიები საქართველოში 1929-30-იან წლებში.
80. საქართველო II მსოფლიო ომში. 18
81. საქართველო XX საუკუნის მეორე ნახევარში (1956 წ. 9 მარტი, 1978 წლის გამოსვლები საქართველოში).
82. ეროვნულ-განმათვისუფლებელი მოძრაობა 80-იან წლებში (1989 წლის 9 აპრილი). 19
83. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. პირველი მრავალპარტიული არჩევნები, დეკემბერ-იანვრის მოვლენები. 20
84. 1995 წ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული კრება.
85. ინსპირირებული კონფლიქტები საქართველოში.

### **საგამოცდო ბილეთის ნიმუში**

1. ქართული სახელმწიფოები და ელინისტური სამყარო; ფარნავაზ მეფე და მისი ეპოქა;
2. საქართველოს ეკლესია არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ;
3. ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. ავტოკეფალიის აღდგენა.

**შენიშვნა: წარმოდგენილი ნიმუში საგამოცდო ბილეთში არ შევა.**

### **ლიტერატურა**

1. ი.ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი - საქართველოს ისტორია, თბ., 1947.
2. ნ.ბერძენიშვილი - საქართველოს ისტორია, თბ., 1958.
3. ფ. ლომაშვილი - საქართველოს ისტორია, X-XI კლასი, თბ., 2000.
4. ა.სურგულაძე, პ.სურგულაძე - საქართველოს ისტორია. საკითხავი წიგნი.
5. მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) – „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, თბ., 2009.
6. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კალენდარი, 1998.

7. ს. ვარდოსანიძე - „უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II“ თბ., 2008.
8. საქართველოს ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, 1995.
9. ს.ვარდოსანიძე - საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში. თბ., 2001.
10. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. /ი. ანთელავა, მ.გაფრინდაშვილი, მ.ვაჩნაძე და სხვა/ ილია ანთელავას რედაქციით. - თბ., 1996.
11. ბენდიანიშვილი, ალ. საქართველოს ისტორია, 1801-1921; 1999.
12. საქართველოს ისტორია, საუკუნე: [ავტ.: ვახტანგ გურული, მერაბ ვაჩნაძე, დიმიტრი შველიძე და სხვ.]; თსუ. - თბ.: თბილ. უნ-ტის გამ-ბა: არტანუჯი, 2003.
13. საქართველოს ისტორია, ტ. I, თსუ-ს გამომცემლობა, 2006.
